



**ვალერი ჯინჭარაძე  
ჩვენ დედამიწაზე დავღივართ**

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ზაზარაშვილი

რედაქტორი: ლალი ბაქრაძე

ილუსტრატორი: სოფიო კიკნაველიძე

სერიის დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი

დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-900-2

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ვალერი ჭინჭარაძე

ჩვენ

დადამითაგა  
დავდივართ









რაჭაში, ბაბუაჩემის სოფელში, ცხოვრობს მეზობლის  
მოკლეშარვლიანი ბიჭი გოგიტა, რომელმაც ეს უცნაური  
ამბავი მიამბო:

– ოცნება ძალიან მიყვარს. ლოგინში რომ ჩავწები, სა-  
ნამ ჩამეძინება, ათას რამეზე ვფიქრობ, რაც მინდა, ყველა-  
ფერს ვისრულებს ოცნებაში. ახლა ტუსუ მინდა ჩამოვიდეს  
და მეტი საფიქრალი არაფერი მაქვს.

შარშან ტუსუ ჩვენს სოფელში იყო. მთელი ზაფხული  
ერთად გავატარეთ. აქ ამბავი დავატრიალეთ, გელაპარა-  
კები, ერთ მოყოლად ღირს.

მოგიყვებოდი, მაგრამ... რა ვიცი, მოგიყვე?  
კარგი, მოგიყვები!



## თავი პირველი

ეს ამბავი მაშინ დაიწყო, მამაჩემმა რომ პირველად სი-  
ლა გამაწნა და გაგულისებული გამოვვარდი გარეთ. შავი  
ლამე იყო, ბნელი. ლამის და სიბნელის კი ძალიან მეშინია.  
კარგა ხანს წინკარში ვიყურყუტე, ალბათ, მალე მამაჩემიც  
დამიძახებდა და შინ შემიყვანდა, მაგრამ ვაჯობე შიშს, გა-  
ვიქეცი, გულაფართხალებულმა გადავჭერი ეზო და თავ-  
ლაში შევვარდი. იქ ცხენთან ერთად ძროხაც გვება. ძრო-  
ხამ ჩემი შესვლა არაფრად ჩააგდო, იცოხნიდა თავისთვის,  
ცხენმა კი თავი დამიქნია და ჩაიხვიხვინა: „მოდი, შე კაცო,  
სტუმარი ღვთისააო!“

ავიღე ბაგაში ჩაყრილი თივა, კუთხეში მივყარე, მივ-  
წექი და დავიწყე ტირილი. ჯერ იმაზე ვიტირე, მამაჩემმა  
რომ მცემა, მერე იმაზე ვიტირე, რომ ტყუილუბრალოდ  
მცემა. შემდეგ ისიც გამახსენდა, ლეოს ირაკლიმ მალაზიის  
ფანჯარა რომ ჩატეხა და მამამისმა თავზე გადაუსვა ხელი:  
„არაფერია, შვილო, ახალს ჩავსვამთ და ის იქნებაო“, და

ამაზეც ვიტირე. მერე, დედაჩემი რომ მეფერებოდა ბუხართან, ის გამახსენდა და ყველაზე მეტი ახლა ვიტირე. „დედა, დედიკო, გაცოცხლდი, ცოტა ხნით მაინც გაცოცხლდი, რა იქნება, – ვზღუძუნებდი, – ნეტავი მეც შენსავით მოვკვდებოდე, მაშინ კი ინანებს მამაჩემი, მარა რა... მე აღარ ვიქნები და ინანოს, რამდენიც უნდა, მერე მამაჩემმა!“

ამ ფიქრში ვიყავი, რომ უცებ თავლის კარმა გაიჭრიალა და ვიღაც შემოვიდა. წამოვჯექი. დაიწყო გულმა ბაგაბუგი, გელაპარაკები, დოლს ვერ უკრავს ისე ბეჟო, გერასიმეს შვილიშვილი. ამ დროს, „ჩხაკ!“ – დაიძახა რაღაცამ და ფანრის შუქი მეცა თვალში. „ვაიმე“, – ვიყვირე, დავაჭყიტე თვალები და რას ვხედავ: ვიღაც შავთმიანი ბიჭი მადგას თავზე, მისდღემში რომ არ მინახავს, მხარზე ფანარი აქვს მიმაგრებული და მეკითხება:

- აქა ხარ?
- კი, აქ ვარ! – ვუთხარი მე.
- გოგიტა ყიფიანი ხარ, ხომ?
- კი, გოგიტა ვარ.
- ნუ გეშინია, მე ტუსუ ვარ, – მითხრა ბიჭმა და ჩამოჯდა ჩემ გვერდით.
- უკვე აღარ მეშინია.
- აქ რომ შემოხვედი, დაგინახე, ამდენ ხანს გარეთ გელოდე და ბოლოს შემოვედი. შენ ჩემი ნუ გეშინია, – დამამშვიდა ტუსუმ.



ვინაა ეს ბიჭი-მეთქი, – ვიფიქრე, მაგრამ ვინ გაცალა ფიქრი!

– მე ციდან მოვედი, – მითხრა ტუსუმ და ზევით აიშვირა ხელი, – ერთი კვირის ჩამოსული ვარ.

კინალამ გავგიუდი.

არ გჯერა და გეცინება, ხომ? ახლა მე მკითხე, მეცინებოდა მაშინ? მოდის ადამიანიშვილი შუალამისას და მეუბნება: „ნუ გეშინია, თუ ძმა ხარ, ტუსუ მქვია მე და ერთი კვირის ჩამოსული ვარ ციდანო!“ რა უნდა მექნა? დავალეპირი და ვიყავი ასე.

– თვალები რატომ გაქვს ცრემლიანი? – მკითხა ტუსუმ.

– მამაჩემმა გამარტყა ხელი.

– გცემა? რატომ?

– სულ ტყუილად. ჭინჭრის ფხალი გააკეთა. დავსხედით საჭმელად. ფხალი ყველაზე მეტად მეჯავრება. არ მინდა, ვერ შევჭამ-მეთქი, ვუთხარი მამაჩემს. – შევჭამე ჩქარაო! – მიყვირა.

– არ შევჭამ-მეთქი, გავიმეორე და გამარტყა, – მივაყარე უცებ.

– ფხალი ცუდი საჭმელია? – გაუკვირდა ტუსუს.

– რავა, ფხალი არ გიჭამია? – გადავირიე. – აბა, რა არი! ყველაზე ცუდი საჭმელია. ისე, ცარიელი ვიტამინებია.

– ოო, ვიტამინები თუა, კარგი ყოფილა, – თქვა ტუსუმ, – მამაშენი ხშირად გცემს?

– არა, პირველად გამლახა დღეს. დედაჩემი რაც მოკვდა, მის მერე აღრენილია, რაღაცა, სულ ცუდ ხასიათზეა.

– დედაშენი მოკვდა?

– ჰო, ერთი წელია უკვე.

ტუსუ გაჩუმდა და იყო ასე.

– დღეიდან ყველაფერში დაგეხმარები, – მითხრა ბოლოს. მერე უცებ შემეტითხა: – ეს რა არის, ცხენია?!

– შენ რა სემინარასავით მეკითხები, ცხენია, აბა, ლეოს ირაკლი ხომ არ იქნება? – გამიკვირდა.

სემინარა ერთი ჭკუათხელი კაცია, ჩვენი სოფლელი, და იმან იცის ასეთი შეკითხვების დასმა. ვთქვათ, ვაშლი უჭირავს ხელში, დაგიძახებს და გკითხავს:

– ვაშლი არ იქნება ახლა ეს, ისე? ა? ვაშლი არ იქნება ახლა ეს? – და იცინის თავისთვის, კვდება სიცილით.

– არა, ცხენი მინახავს, ოლონდ კინოში, – მითხრა ტუსუმ და კვლავ ჭერისკენ მიმითითა, – ცოცხალი კი ახლა ვნახე პირველად. რამდენჯერ მიოცნებია, ერთი ცხენი გამაჭენებინა-მეთქი. ვთხოვე კიდეც ძია ხეხოს, მაგრამ ჩვენს პლანეტაზე ცხენები არ არიანო, მითხრა.

– რომელ პლანეტაზე?! – წამოვხტი ფეხზე.

– იმაზე, მე რომ ვცხოვრობდი!

– ხეხო ბიძია ვინ არი?

– ძია ხეხო? ძია ხეხო იქაური კაცია, ძალიან ჭკვიანია. იმ დედამინაზე ყველაზე მეტი ენა, შვიდას ექვსი, იმან იცის.

დავუსტვინე.

– მე ძია ხეხომ გამზარდა, – დაუმატა ტუსუმ.

- მერე, სადაა ახლა ძია ხეხო ? – ვკითხე.
  - ახლა იქაა, იმ პლანეტაზე, მაგრამ ერთ კვირაში ჩა-მოვა ჩემ სანახავად.
  - მანახებ? – ავცეტდი უცებ.
  - არ ვიცი, გოგიტა, თუ უფლება მომცა, განახებ!
- „მატყუებს ეს ტუსუ რაღაცას“, – გავიფიქრე, მაგრამ ვინ გაცალა!
  - შენ, მგონი, არა გჯერა ჩემი ნათქვამი! მომადე, აბა, აქ ხელი! – ტუსუმ თითები ფანარზე მიმადებინა და რა ვნახე! პერანგის ჯიბე იყო ჩამოხსნილი და იქიდან თვითონ სხეული ანათებდა. გამოვტაცე უცებ ხელი ტუსუს. შემე-შინდა, მართალი რომ გითხრა.
  - ახლა ხომ გჯერა, – გაეცინა ტუსუს.
  - ახლა კი მჯერა.
  - გოგიტა, იცოდე, არავისთან წამოგცდეს რამე, თო-რემ ვეღარასოდეს მნახავ, გაიგე?
- ეს კი გავიგე და თავიც დავუქნიე ტუსუს, მაგრამ სხვა?
  - ეს რანაირად ანათებს, ტუსუ? – ვკითხე გაშტერებულმა. ტუსუმ შარვალი გაიხსნა და ხალათი აიწია. გელაპა-რაკები, თვალები დავაჭყიტე: სწორედ იმ ადგილზე, კუ-კურას გოჩას ბრმა ნაწლავის ნაოპერაციები რომ ატყვია, მრგვალი ლილაკები დავინახე. ქვედა ლილაკს დააჭირა თი-თი, – სინათლე ჩაქრა. მერე ისევ გაიჩხაკუნა ლილაკმა და სხეულმა ისევ გაანათა.

– ყველა ღილაკს თავისი დანიშნულება აქვს, გოგიტა, მაგრამ ამაზე მერე მოგიყვები, – მითხრა ტუსუმ და შარვალი შეიკრა.

– იმ დედამიწაზეც მომიყევი, რა?! – ვთხოვე.

– კი ბატონო! ახლა მე წავალ და ხვალ საღამოს ექვსი საათისთვის დაგელოდები ღელეში, დიდი ქვა რომ გდია, იმასთან. ოღონდ, მარტო მოდი, იცოდე, და არავის უთხრა, ვისთან მიდიხარ.

სამჭიკის ქვაზე მეუბნებოდა.

– ამ შუალამისას სად მიდიხარ? – მინდოდა მეკითხა, მაგრა ტუსუ აღარსად ჩანდა.

რა უნდა მექნა! დავწექი ისევ თივაზე და დავიწყე ფიქრი. მანამ ვიფიქრე, სანამ მამაჩემის ღრიალმა არ წამომაგდო ფეხზე:

– გოგიტა! მოეთრიე ამ წუთში სახლში, თუ არა, ვერ გადამირჩები, იცოდე, ცოცხალი!

ჭრაქით გამოსულიყო საძეპრად.

რაღა უნდა მექნა, გავყევი უკან. შევედი შინ და ჩავწექი ლოგინში.

მალე მამაჩემმა ხვრინვა ამოუშვა. მე კი ვიფიქრე და ვიფიქრე.

გამთენისას ჩამეძინა.

დილის ძილი ყველაზე ტკბილია.

## თავი მეორე

დედაჩემი ვნახე სიზმარში. თეთრი კაბა ეცვა და ჩვენი სოფლის შარაგზაზე მიდიოდა. რაც უფრო მიახლოვდებოდა, უფრო იღიმებოდა.

— დედი, სად იყავი ამდენ ხანს? — ვკითხე, ახლოს რომ მოვიდა.

დედაჩემი უკან-უკან გაცურდა და ნელ-ნელა დაპატარავდა.

— არ წახვიდე, დედი, ცოტა ხანს მაინც მოიცადე, — დავიწყე ტირილი და უკან გავეკიდე, მაგრამ წინ ვერ წავედი. ამ დროს ვიღაცამ ხელი წამავლო და გამომელვიძა.

— არ აპირებ სკოლაში წასვლას, თუ როგორაა შენი საქმე?! — მანჯლრევდა მამაჩემი.

სკოლა ახლოსაა ჩემს სახლთან. აი, იმ პატარა გორაკს გადაირბენ და უკვე მისული ხარ. ზარის ხმას რომ გავიგონებ, მერე მივდივარ და სანამ ჩვენი ნაფრონტალი იორდანე მასწავლებელი საკლასო ოთახამდე მივა, მე უკვე ვზივარ უკანა მერხზე, კედელთან. იქიდან მთელი კლასი მოჩანს.

უკანა მერხიდან ყველაფერს ვხედავ: ვინ რით ერთობა, ვინ რას ჭამს, ვინ ვის ჩქმეტს ბარძაყზე და ვინ ვის ნაწნავს ექა-ჩება. მაგრამ ვისაც გადაწერა უყვარს, მისთვის არ ვარგა უკანა მერხზე ჯდომა. ვერ მიაპრუნებ თავს გადასაწერად – უკან კედელია. ჩემთვის სულ ერთია, რა ნიშანს მივიღებ საკონტროლოში, ამიტომ გადაწერით თავს არ ვიკლავ და პირველი კლასიდან მოყოლებული, სულ უკან ვზივარ.

– ყიფიანი გოგიტა, აბა, ჰე, დღეს თუ მაინც იცი რამე, ადექი და გვითხარი ყველას, ნურაფერს დაგვიმალავ, – გა-მიძახა იორდანე მასწავლებელმა.

მე ავდექი და გავჩუმდი.

– დაჯექი, ბიძია, ვო-რი! – მითხრა და ჩაწერა უურ-ნალში.

რა უნდა მექნა, დავჯექი. ირაკლიმ რაღაც გადაუჩურ-ჩულა ყურში ირმას და ორივემ გაიცინა. მომივიდა გული და მთელი გაკვეთილი იქით აღარ გამიხედავს. „მე დღეს ტუსუს ვნახავ, თქვენ იყავით მანდ და იცინეთ“, – ვთქვი გულში.

ექვს საათამდე დიდი დრო იყო. ყველა გაკვეთილს და-ვესწარი, მერე შინ დავბრუნდი, ჩანთა საწერ მაგიდაზე მივაგდე და ბალს კენწეროზე მოვექეცი. იქიდან მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანს. მარცხნივ და მარჯვნივ მთებია, ქვემოთ, მთავარ გზასთან, მდინარე მიიკლაკნება, დანარჩენი ადგილი სახლებს, ეზოებს, ყანებსა და მინ-

დვრებს უჭირავს. აქაურობის ყურებას არაფერი ჯობს, თანაც მაშინ, როცა შავ ბალს ჭამ.

მერე მამაჩემი მოვიდა და ვისადილეთ. მამაჩემი ბრი-გადირია. როცა უნდა, მაშინ მოვა შინ, ამიჯაჯლანდება და წავა.

— დღეს შენი მასწავლებელი შემხვდა, არაფერს აკე-თებსო. შეენ... შენ მაცალე მე! — დამიქნია თითი.

— როგორ არ აკეთებსო... — ავბუზლუნდი.

— საქონელს მიხედე და მერე დაჯექი, გაკვეთილი ის-ნავლე, — დამიბარა.

წავედი ძროხის მოსაყვანად. კოთონოურში ბალახობ-და, ფეხბურთის მოედანთან. გამოვდენე შინ და დავამ-წყვდიე. მერე ცხენთან წავედი, სათიბში იყო დაბმული და დაჭერა აღარ დამჭირდა. უცებ შემოვახტი ზურგზე და გა-მოვაჭენე.

ლეოს ირაკლი და ბეჟო მაღაზიასთან იყვნენ ატუზუ-ლები. ცხენზე შეჯდომა ქვეყანას ურჩევნიათ, მაგრამ ვერ მიართვეს — სულ დრიგინ-დრიგინით ჩავუქროლე გვერდზე.

ორი კვირის ნაჩეუბარი ვიყავი ირაკლისთან და მის ძმაკაცებთან. ისინი წამეჩუბნენ თვითონ, თორემ მე რა მქონდა საჩეუბარი. ეს ამბავი მაშინ მოხდა, კუკურას გო-ჩამ კარტოფილი რომ მოიტანა სკოლაში. ცხენიდან გად-მოვარდნის ამბავს ვუყვებოდი ირმას და ისიც კისკისებდა. ლეოს ირაკლის შეშურდა, მოვიდა და მეუბნება:

– კარტოფილის ჭამა რომ იცი, მოტანაც უნდა იცოდე,  
ბიძია, შენ!

– რა მოხდა, მერე, მოვიტან ხვალ!

– რას მოიტან, ბიჭო, შენ, აქ მოსატანი კი არა, სახ-  
ლში რომ გაიძლოთ კუჭი, ამის სამყოფს ვერ ნახავ თქვენს  
ბეღელში რაიმესო, – მითხრა ირაკლიმ და ატეხეს ხარ-  
ხარი ძმაკაცებმა. რა უნდა მექნა, გავუშალე და ვპერტყე  
ლეოს ბიჭს შენი მოწონებული. პერტყვა მასე არ უნდაო,  
დამესივნენ ირაკლი, ბეჟო, გოჩა, ომარი, წამაქციეს და  
მირტყეს. გიას უნდოდა, მომხმარებოდა, მაგრამ იცოდა,  
ვერავის მოერეოდა და, რომ დაინახა, მკლავდნენ, – „არი-  
ქა, იორდანე მოდის, იორდანეო“, – იყვირა. ამ ლაჩრებმაც  
დამანებეს თავი. ასე იყო ეს ამბავი.

ჰო, დავაპი ცხენი და წავედი ტუსუსთან.

სამჭიკიის ქვა უშველებელი, მთისხელა ქვაა და კაც-  
მა არ იცის, რამდენი ხანი გდია ლელეგალმა. დავჯექი ამ  
ქვასთან და რაც მე ტუსუზე ვიფიქრე, იმდენი რომ გაკ-  
ვეთილებზე მეფიქრა, იორდანე მასწავლებლის საყვარელი  
მოწაფე ვიქნებოდი, ლეოს ირაკლივით. ვუყურებდი ცას  
და მიკვირდა: სხვა პლანეტაზე თუ იყო, ქართული როგორ  
ისწავლა ასე კარგად-მეთქი. ნეტავი, მეგრული თუ იცის  
ტუსუმ?! ეცოდინება, ვითომ, მეგრული? არა, მეგრული არ  
ეცოდინება, – დავასკვენი ბოლოს და ტუსუც მოვიდა.

– გამარჯობა, გოგიტა! – მითხრა.

- გაგიმარჯოს! – წამოვხტი ფეხზე, – ტუსუ, შენ მეგრული იცი?! – ვკითხე მერე.
  - მეგრული? არა! წავიდეთ ახლა, გოგიტა, ჩემს ბინას გაჩვენებ!
  - წავიდეთ, ბატონო! – გავედევნე უკან, – არც სვანური იცი, ტუსუ? – არ მოვეშვი.
  - არა, არც სვანური ვიცი. მე დედამიწის ოთხი ენა შემასწავლეს მარტო: ქართული, ინგლისური, ესპანური და ერთიც – აფრიკული.
  - ეუჟ! – წარბები შუბლზე ამივიდა გაკვირვებისგან.
- ხშირ ტყეში ავუყევით აღმართს. ახალი ბილიკით მივდიოდით. ისე იყო გაჭრილი გზა, რომ ტოტებს და ეკლებს ხელით გაწევა არც კი სჭირდებოდა.

  - კი, მარა, ტუსუ, აქეთ სად მივდივართ? – გამიკვირდა.
  - აქეთაა ჩემი სახლი.
  - წუხელ, ღამით ამ ტყეში წამოხვედი?
  - დიახ.
  - ეუჟ! არ შეგეშინდა მერე, კაცო, ღამით ტყეში?!
  - არა, გოგიტა, მე, შიშის გრძნობა, როგორც ასეთი, არ გამაჩნია, – მითხრა ტუსუმ.
  - სულ არა?! – გადავირიე, – ვეფხვი რომ გამოხტეს ახლა უცებ ტყიდან, არ შეგეშინდება?!
  - სრულებითაც არა. მე არ ვიცი, რა არის შიში, – თქვა ტუსუმ და შეჩერდა, – აი, მოვედით კიდეც ჩემს საბინადროში.